

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სერვისის ჯგუფი (საიდენტიფიკაციო ნომერი 202341457) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელის რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ადამ მიცკევიჩის ქ., N36. საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური პირების მიერ მანანა გელაშვილი, 01027003587, არჩილ მელუა, 01024011133, ზაზა ნაკაიძე, 61006021269. დირექტორი მანანა გელაშვილი, 01027003587.

- საწარმოს ძირითად საქმიანობა საწარმოადგენს სასტუმროების, რესტორნებისა და კაფე-ბარებისთვის საჭირო დანადგარებისა და მოწყობილობების იმპორტი, მონტაჟი და ყველა საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფა;
- კალენდარულ-პროფილაქტიკური მომსახურება;

კვების ობიექტების პროექტირება და ტექნოლოგიური ნახაზის შედგენა.

საწარმო ფულად სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკურ გარემოს, შესაბამისად საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2022 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სუზისტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი მოიცავს ასევე სავაჭრო ფასდათმობებსაც, მყიდველების მიხედვით, ასევე ვადაზე ადრე გადახდის პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების

არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

2.1 სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. ძირითადი საშუალების აღიარების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

2.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიას არ გააჩნია არამატერიალური აქტივი.

2.4 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელიც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები. გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება ფაიფო მეთოდი.

2.5 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

2.6 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში - ოპერაციის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო საანგარიშგები წლის ბოლოს არღებული ნაშთი - 31 დეკემბრის კურსით.

2.7 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთის დაბეგრვის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსთვის მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია:განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის. უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა,კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობით ხარჯი. მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

3. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირრდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლათა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისისასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ

დირექტორი:მანანა გელაშვილი

მ. გელაშვილი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სერვისის ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგება

წარმოდგენილია 31 დეკემბერი, 2022 წლის მდგომარეობით

1. შპს „სერვისის ჯგუფი“-ს მონაცემები და საქმიანობის მიმოხილვა,
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება,
3. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება,
4. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება,
5. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება,

შპს „სერვისის ჯგუფი“-ის მონაცემები და საქმიანობის მიმოხილვა

კომპანია „სერვისის ჯგუფი“

დაარსდა 2006 წელს, იგი წარმოადგენს სამზარეულო დანადგარების მსოფლიო წამყვანი ბრენდების ოფიციალურ წარმომადგენლობას საქართველოში.

ძირითად საქმიანობებს წარმოადგენს:

- სასტუმროების , რესტორნებისა და კაფე- ბარებისთვის საჭირო დანადგარებისა და მოწყობილობების იმპორტი,მონტაჟი და ყველა საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფა;
- კალენდარულ-პროფილაქტიკური მომსახურება;
- კვების ობიექტების პროექტირება და ტექნოლოგიური ნახაზის შედგენა .

სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

1. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
2. კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და გააჩნია საქმიანობის გაგრძელების უნარი.
3. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისისა.
4. საანგარიშგებო პერიოდის მოიცავს 2022 წელს.
5. საწარმოს საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა.
6. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო საანგარიშგებო წლის ბოლოს არსებული ნაშთი -31 დეკემბრის მდგომარეობით.
7. სავაჭრო ვალდებულებები (კრედიტორული და დებიტორული დავალიანებები) არილიცხება იმ თანხით, რისი გადახდა ან მიღება მოუწევს კომპანიას.
8. სასაქონლო - მატერიალური მარაგები, საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, აღირიცხება უწყვეტი მეთოდის გამოყენებით და ფასდება თვითღირებულებით. მათი თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება FIFO მეთოდი.
9. მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აღიარებულია იმავე პერიოდის ხარჯად, როცდესაც მოხდა მათი შეძენა.
10. ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება მათი თვითღირებულებით, ყველა ძირითადი საშუალება აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, საწარმო იყენებს ცვეთის დარიცხვის ნაშთა შემცირების მეთოდს, საწარმო ყოველი საანგარიშგები წლის ბოლოს აფასებს-არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორი, გაუფასურების ან გაყიდვის შემთხვევაში კეთდება შესაბამისი თანხების ასახვა მოგება-ზარალში.
11. საგადასახადო ველდებულებების აღიარება ხდება საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. მოგების გადასახადის გადახდა ხდება

დივიდენდის გაცემის შემთხვევაში და ასევე კოდექსით განსაზღვრულ მოგების გადასახადით დასაბეგრ ოპერაციებზე.

12. დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯებისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში)
13. საწარმოს შემოსავალი განიხილება, როგორც ამონაგები საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან. ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, ამონაგები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული.
14. ხარჯების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით და მიეკუთვნება იმ პერიოდს, როცა მოხდება მათი აღიარება, ხარჯები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

დირექტორი: მანანა გელაშვილი

მ. გელაშვილი



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	441533	181269	310164
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0	0	0
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	895915	240917	224892
მარაგები	1386564	1276300	985213
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	1386564	1276300	985213
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	28548	38954	27164
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2752560	1737440	1547433
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	0	0
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	137237	0	93042
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	802326	447234	175877
სულ ვალდებულებები	939563	447234	268919
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1812997	1290206	1278514
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1812997	1290206	1278514
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2752560	1737440	1547433
სულ მოკლევადიანი აქტივები	2724012	1698486	1520269
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	939563	447234	268919

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	4715181	3008371
საქონლის გაყიდვიდან	4618397	2939360
მომსახურების გაწევიდან	96784	69011
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-3116125	-2443513
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1599056	564858
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-432789	-328630
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-6711	-7790
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-91457	-94661
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-545308	-122085
სულ საოპერაციო ხარჯები	-1076265	-553166
საოპერაციო მოგება	522791	11692
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და ს	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერა	522791	11692
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	522791	11692
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფას	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქ	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	522791	11692
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1290206	1278514
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპ	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1812997	1290206

